# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 261

"24" მაისი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთს, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთებს (მონაკვეთები ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად), მიენიჭოს ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II გასასვლელის ორ მონაკვეთს მიენიჭოს ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ქუჩის I და II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთს მიენიჭოს ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე


X:482562 Y:4622903
X:482620 Y:4622901
I შეს.
X:482653 Y:4622843
I ჩიხი
X:482677 Y:4622808
X:482555 Y:4622795
X:482646 Y:4622784
II ჩიხი
482395 Y:4622782
ალბერტ თავხელიძის ქ.
X:482649 Y:4622782
ალბერტ თავხელიძის ქ.
X:482661 Y:4622637